

## ანოტაცია

### ლევამიზოლი 7.5%

საინექციო ხსნარი, გამოიყენება მხოლოდ ვეტერინარიაში

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორებისა და ძაღლებისთვის

#### შემადგენლობა

1 მლ საინექციო ხსნარი შეიცავს აქტიურ ნივთიერებას: ლევამიზოლის 3/ქ - 75 მგ

აღწერა: უფერო, ოდნავ მოყვითალო ფერის, გამჭვირვალე სითხე.

#### ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ლევამიზოლის ჰიდროქლორიდი წარმოადგენს იმიდაზოთიაზოლის ჯგუფის წარმოებულს, რომელსაც გამოხატული აქვს ფართო სპექტრის ნემატოციდური მოქმედება. აქტიურია ცხოველის ორგანიზმში მოპარაზიტე კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ფილტვების ნემატოდების მიმართ, ლარვულ და სქესმწიფე განვითარების ფაზაზე, მათ შორის მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის - *Haemonchus spp*, *Ostertagia spp*, *Trichostrongylus sp*, *Nematodirus spp*, *Bunostomum spp*, *oesophagostomum spp*, *cooperia spp*; ღორის - *Ascaris spp.*, *Strongyloides spp.*, *Metastrongylus spp.*, *Oesophagostomum spp.*; ძაღლის - *Toxocara canis*, *Toxascaris leonina*, *Ancylostoma caninum*, *Uncinaria stenocephala მიმართ*;

ანტიჰელმინთური მოქმედების მექანიზმი ეფუძნება სუქცინატდეჰიდროგენაზას სპეციფიკურ ინჰიბირებას, ამასთან დაკავშირებით იბლოკება ნემატოდებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუძარატ რედუქციის რეაქცია, ირღვევა პარაზიტის ბიოენერგეტიკული პროცესების მიმდინარეობა, რაც იწვევს პარაზიტის კუნთების მადეპოლარიზებელ ნეიროკუნთოვან დამბლას და სიკვდილს.

ლევამიზოლის ჰიდროქლორიდის პარენტერალური გზით მიღების შემდეგ სწრაფად შეიწოვება და მაქსიმალურ კონცენტრაციას ქსოვილებში აღწევს 30-50 წუთის შემდეგ. პრეპარატის თერაპიული დონე ორგანიზმში ნარჩუნდება 6-9 საათის განმავლობაში, ორგანიზმიდან გამოიყოფა 3-4 დღის შემდეგ უპირატესად შარდთან და ნაწილობრივ ფეკალთან ერთად, ლაქტაციის პერიოდში რძესთან ერთად.

პრეპარატი მიეკუთვნება ზომიერად საშიშ ნივთიერებებს (საშიშროების კლასი 3 სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-76 მიხედვით).

#### გვერდითი მოვლენები

ინსტრუქციის შესაბამისად პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები და გართულებები არ აღინიშნება.

პრეპარატის კომპონენტების მიმართ ინდივიდუალური მგრძობელობის გაზრდისა და ალერგიული რეაქციების გამოვლენის შემთხვევაში მისი გამოყენება უნდა შეწყდეს და ცხოველს ენიშნება ანტიჰისტამინური საშუალებები და სიმპტომური თერაპია.

#### უკუჩვენებები:

ცხოველის მომატებული ინდივიდუალური მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ. პრეპარატი არ უნდა იქნას გამოყენებული მძიმედ დაავადებულ, დასუსტებულ და გამოფიტულ ცხოველებში (არ ეძლევა 10 კგ-ზე ნაკლები წონის მოზარდეულს).

**სამიზნე სახეობა:** მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი, ძაღლი

**გამოყენების ჩვენებები:**

ტოქსოკაროზი, ტოქსასკარიდოზი, უნცინარიოზი, ანკილოსტომოზი.

**გამოყენების წესი, დოზირება:**

პრეპარატი გამოიყენება ერთხელ ინექციისთვის

**მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს** - კუნთში ან კანქვეშ, 1 მლ/ 10 კგ. ც.წ.-ზე, ერთჯერადად. 300კგ-ზე მეტი წონის საქონელს უკეთდება არაუმეტეს 30 მლ.

**წვრილფეხა რქოსან პირუტყვს** - კუნთში ან კანქვეშ, 1 მლ/ 10 კგ. ც.წ.-ზე, ერთჯერადად. 65 კგ-ზე მეტი წონის ცხვარს უკეთდება არაუმეტეს 4,5 მლ.

**ღორს** - კუნთში ან კანქვეშ, 1 მლ/ 10 კგ. ც. წ.-ზე, ერთჯერადად. 150 კგ-ზე მეტი წონის ცხოველს უკეთდება არაუმეტეს 20 მლ.

**ძაღლს** - კუნთში ან კანქვეშ, 1 მლ. / 10 კგ. ც.წ.-ზე ერთჯერადად.

**ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან**

ლევამიზოლი არ უნდა იქნას გამოყენებული მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ 10 დღის განმავლობაში ფოსფორორგანული პრეპარატებთან, აგრეთვე პირანტელის, მორანტელის და ქლორამფენიკოლთან ერთად. ასევე არ არის რეკომენდებული პრეპარატის ეთანოლთან ერთად გამოყენება.

**განსაკუთრებული მითითებები:**

**განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები სამიზნე სახეობებში გამოყენებისას:** მოქმედების თავისებურებები პრეპარატის პირველი გამოყენებისას და მისი მოხსნისას დადგენილი არ არის.

**განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები რომელიც უნდა დაიცვას პირმა, რომელიც ვეტერინარული პრეპარატის გამოყენებას ანხორციელებს ცხოველზე:**

პრეპარატთან მუშაობის პროცესში უნდა დაიცვათ პირადი ჰიგიენის და უსაფრთხოების წესები, რაც კანონდებლობითაა გათვალისწინებული აღნიშნულ პროდუქტთან მუშაობისას.

პრეპარატის კომპონენტის მიმართ ჰიპერმგრძობიარე პირებმა თავი უნდა აარიდონ პრეპარატთან პირდაპირ კონტაქტს.

მუშაობისას არ დალიოთ, მოწიოთ და არ ჭამოთ. სამუშაოს დასრულების შემდეგ დაიბანეთ ხელები თბილი წყლით და საპნით.

თუ პრეპარატი მოხვდება კანზე ან ლორწოვან გარსზე, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ დიდი ოდენობის გამდინარე წყლით. ალერგიული რეაქციების გამოვლენის შემთხვევაში ან

შემთხვევით თვითინექციის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას (თან იქონიეთ გამოყენების ინსტრუქცია ან ეტიკეტი).

### **გამოყენება მკვებისა და ლაქტაციის პერიოდში**

აკრძალულია პრეპარატის გამოყენება მკვე ძროხებისთვის მკვების ბოლო მესამედში; ცხვრების, თხების, ღორებისა და ძაღლებისთვის მკვების მეორე ნახევარში, მოზარდულისთვის გამოიყენება სიფრთხილით, უშალოდ ვეტერინარის მეთვალყურეობის ქვეშ.

### **ჭარბი დოზირება**

პრეპარატის დოზის გადაჭარბების შემთხვევაში ცხოველებს შეიძლება განუვითარდეთ კოლიკა, დიარეა, ნერწყვდენა, გულისრევა, ღებინება (ღორებში და ძაღლებში), ალერგიული რეაქციები (კანის ქავილი, ჭინჭრის ციება). ეს სიმპტომები როგორც წესი ქრება სპონტანურად თერაპიული საშუალებების გამოყენების გარეშე.

### **ლოდინის პერიოდი:**

**ხორცი და სუბპროდუქტები:** *მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის:* სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 7 დღის შემდეგ.

**რძე:** ადამიანებისთვის საკვებად გამოყენება ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 2 დღის შემდეგ.

**შენახვის პირობები:** ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე. ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას.

**ვარგისობის ვადა:** 2 წელი.

**განადგურება.** პრეპარატის ცარიელი ბოთლები არ უნდა იქნას გამოყენებული საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის, ისინი უნდა გადაიყაროს საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.

**გამოშვების ფორმა:** 10 მლ, 20 მლ, 50მლ და 100 მლ მუქი ფერის მინის ფლაკონში ჰერმეტიულად დახურული რეზინის საცობით, ალუმინის ჩაჩითა და პლასტმასის სახურავით პირველი გახსნის კონტროლისთვის.

### **ვეტერინარიაში გამოსაყენებელი საშუალება**

**ფარმაკოლოგიური ჯგუფი:** ანტიჰელმინთური საშუალება, Atc vet. code: QP52AE01-levamisole

**მწარმოებელი:** შპს „ბიოტექსი“, თბილისი იუმაშევის ქ. #8, საქართველო.